



2026 წლის თებერვლის თვის
მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026


მარტი

2026 წლის თებერვლის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

2



თებერვალში, სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.6% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 2.4%-ით განისაზღვრა.





იანვარში* ფულადმა გზავნილებმა 282.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნები - 45.4%; აშშ - 18.4%; რუსეთი - 11.9%; სხვა ქვეყნები - 24.3%.

იანვარში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა.

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 0.5%-ით გამყარდა, ევროსთან მიმართებით კი 0.4%-ით გაუფასურდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი



2026 წლის იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკურმა ზრდამ 7.9% შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2026 წლის იანვარში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.9% შეადგინა.



ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, სამთომოპოვებითი მრეწველობა, სასტუმროები და რესტორნები.



დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2026 წლის იანვარში* 12,860.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 5.9%-ით აღემატება.

2026 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.6% შეადგინა.

თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 4.6%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე. საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.4%-ით განისაზღვრა.

2026 წლის იანვარში* მშპ-ის წლიურმა საპროცენტო დეფლატორმა 2.5% შეადგინა.






2026 წლის იანვარში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 4.0%-ით, ხოლო ხარჯები 3.8%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 297.4 მლნ ლარით, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 81.8 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის იანვარში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,143.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.1%-ით აჭარბებს. კერძოდ, გადასახადის სახეების მიხედვით, შემოსავლების სტრუქტურა ზრდის მიმართულებით შემდეგი სახით დაკორექტირდა: ქონების გადასახადი (41.8%-ით), საშემოსავლო გადასახადი (17.2%-ით), აქციზი (12.7%-ით), იმპორტის გადასახადი (9.1%-ით), მოგების გადასახადი (4.2%) და დღგ (3.4%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 54.9%, ხოლო არაპირდაპირმა 45.1% შეადგინა.


იანვარში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების 41.4%-იანი კლება (162.2 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.




2026 წლის იანვარში*, გაცემული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

იანვარში*, წინა წლის იანვართან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 11.7%-ით მოიმატა და 67,870.6 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 13.7%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები 9.0%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (54.2%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.0% ფიზიკურ პირებზეა, 15.0% კი ინდემნარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 38.5% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 61.5% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 22.2% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.7% - ვაჭრობის, 16.3% - მრეწველობის, 15.5% - უძრავი ქონებით ოპერაციებში, 5.8% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




2026 წლის იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა საქონლის ექსპორტი, ხოლო შემცირდა იმპორტი.

2026 წლის იანვარში* ექსპორტმა 19.0%-ით მოიმატა, ხოლო იმპორტი 33.7%-ით შემცირდა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 23.7%-ით შემცირდა და 1,609.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში 29.8%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა შემდეგ ქვეყნებში: არაბთა გაერთიანებული საამიროები (434%), ჩინეთი (266%), თურქეთი (122%), ბულგარეთი (40%), რუსეთი (13%) და სხვა. ექსპორტი შემცირდა ყაზახეთში (35%), ყირგიზეთში (33%), სომხეთში (9%), აზერბაიჯანსა (8%) და სხვა ქვეყნებში.


იანვარში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ჯგუფებში: ძვირფასი ლითონების მადნები (437%), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (402%), ფეროშენადნობების (87%), სპილენძის მადნები (73%), თხილი და სხვა კაკალი (68%), ოქრო (24%), სპირტიანი სასმელების (21%), შემცირდა მსუბუქი ავტომობილების (23%), მინერალური და მტკნარი წყალი (10%), ყურძნის ნატურალური ღვინოების (6%) და საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი)




2026 წლის იანვარში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 52.4% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 40.2% - საზღვაო, 5.3% - საჰაერო, 2.2% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.0001% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 40.1% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 39.3% - საზღვაო, 6.7% - საჰაერო, 5.0% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 8.8% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით
(იანვარი)




იანვარში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 312.8 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 68.1%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: ჩინეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21%), თურქეთი (16%), რუსეთი (11%), მალტა (5%), ბულგარეთი (5%), სინგაპური (3%), იტალია (3%), სომხეთი (3%), უკრაინა (3%), და აზერბაიჯანი (3%).

ფულადი გზავნილები (%)
ჩარიცხვები, იანვარი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



2026 წლის იანვარში* ფულადი გზავნილები გაიზარდა.

იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 16.6%-ით გაიზარდა და 282.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (128.4 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 45.4%) და აშშ (52.0 მლნ აშშ დოლარი, 18.4%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 31.6%-ით გაიზარდა და 33.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 11.9%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (53.2 მლნ აშშ დოლარი, წილი 18.8%), ისრაელიდან (24.7 მლნ აშშ დოლარი), გერმანიიდან (24.1 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (22.4 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (9.5 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (7.4 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (5.2 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.

2026 წლის თებერვლის საერთაშორისო რეზერვებმა 6,659 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

თებერვალში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 6,659 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2025 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 57.3%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 5.7%-ით გაიზარდა. 2026 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯრადი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმულე.




3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2026 წლის იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 1.8%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 10.2%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 5.1%-ით შემცირდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 25.7%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 14.5%-ს გაუტოლდა. 2026 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 4.6% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)



2026 წლის თებერვალში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 11,405.5 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 70.9% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 9.9% - ეროვნული ბანკის, ხოლო 19.2% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 15.0%, არარეზიდენტი - 4.3%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (თებერვალი)




2026 წლის იანვარში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 68,423.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მანუვრებელს 13.6%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 51.9% შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 48.1%.

იანვრის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 61.8% იურიდიულ პირებს, ხოლო 38.2% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 65.7% ფიზიკურ პირებს, ხოლო 34.3% იურიდიულ პირებს ეკუთვნის.


დეპოზიტები იანვარი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 53.7% ვადიანი დეპოზიტებია, 25.6% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 20.7% მიმდინარე ანგარიშები.


უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (41.8%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (33.7%) და მიმდინარე ანგარიშებს (24.4%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2026 წლის იანვარში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა. იანვარში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.30 პპ-ით გაიზარდა და 44.5%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.03 პპ-ით გაიზარდა და 42.4% შეადგინა. იანვრის* თვეში, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.6%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 1.4%-ით შემცირდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2026 წლის იანვარში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 14,749.7 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 21.3%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.9%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.1%.

სამომხმარებლო სესხები (იანვარი)



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 45,896.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.3%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.2%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.8%.


უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (იანვარი)




იანვრის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 65.1% გაცემულია თბილისში, 7.4% - იმერეთში, 7.2% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 4.6% - კახეთში, 4.6% - ქვემო ქართლში, 3.9% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2026 წლის იანვარში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.30 პპ-ით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.92 პპ-ით გაიზარდა. იანვარში*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.8% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.2%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), იანვრის* მდგომარეობით, 6.6% შეადგინა, 0.06 პპ-ით ნაკლები წინა წლის იანვართან შედარებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2026 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



2026 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ მცირედით გაუფასურდა. თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.5%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 0.4%-ით გაუფასურდა და თურქულ ლირასთან 1.7%-ით გამყარდა. ამავ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, თებერვალში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.1%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 7.5%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 27.0%-ით გამყარდა. თებერვლის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.68, ევროს მიმართ 3.17, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.06 შეადგინა.


4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის III* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2025 წლის III* კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,271.6 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.4%-ით (214.9 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 2.7%-ით (59.6 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის III* კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,212.9 ლარის ოდენობით, 5.9% წლიური ზრდა), მშენებლობის (3,682.9 ლარი, ზრდა 15.2%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (3,526.0 ლარის ოდენობით, ზრდა 10.7%), აგრეთვე პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (3,107.9 ლარი, ზრდა 1.5%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



2026 წლის იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე შემცირდა.

იანვარში*, განათლებაზე განუღმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 233.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით, 9.5%-ით ნაკლებია. ჯანდაცვაზე განუღმა დანახარჯები კი 123.7 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით 30.0%-ით ნაკლები.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25	ოქტ 25	ნოვ 25	დეკ 25	იან 26	თებ 26
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.7	9.0	7.5	7.5	6.3	6.5	6.6	6.4	6.0	7.2	7.2	7.9	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	8.7	10.8	9.4	13.0	8.7	9.2	9.0	9.2	7.0	10.1	11.0	5.9	
ინფლაცია (%)	2.4	3.5	3.4	3.5	4.0	4.3	4.6	4.8	5.2	4.8	4.0	4.8	4.6
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.51	0.50	0.49	0.49	0.48	0.47	0.47	0.47	0.47	0.47	0.46	0.44	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.43	0.43	0.43	0.43	0.43	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.82	2.78	2.75	2.74	2.73	2.71	2.70	2.71	2.72	2.71	2.70	2.70	2.68
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	252,282	291,863	295,541	317,421	315,507	336,988	321,548	317,792	318,709	298,395	340,484	282,637	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	432	562	617	580	640	610	603	703	684	782	673	480	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,234	1,520	1,525	1,486	1,511	1,608	1,497	1,564	1,555	1,506	1,862	1,129	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-802.0	-957.8	-908.2	-906.1	-870.4	-997.8	-893.7	-860.7	-871.0	-723.6	-1,189.2	-649.1	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,234	4,311	4,518	4,585	4,688	5,020	5,204	5,428	5,603	5,816	6,159	6,300	6,659
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,956	2,372	2,059	2,819	2,609	2,387	2,179	2,499.4	2,296.7	2,264.4	2,874.5	2,302.4	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,851	1,955	1,940	1,872	2,000	2,252	1,724.8	1,845.3	2,033.9	1,687.5	3,738.7	2,005.0	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	380	406	397	332	454	371	400.2	578.5	320.8	344.4	1116.7	229.6	

ზრდა
 კლება
 ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ 25	ნოვ 25	დეკ 25	იან 26	თებ 26
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
სავაჭრო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექტ 25	ოქტ 25	ნოვ 25	დეკ 25	იან 26	თებ 26
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
სავაჭრო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

